საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/103

02 ივნისი, 2023 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის“ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** უწყვეტი განათლების ცენტრის **საკოორდინაციო საბჭოს 2023 წლის 15 მაისის №20-19/04 სხდომის ოქმის და** ამავე ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან ბერიძის 2023 წლის 30 მაისის №613694 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე დამტკიცდეს თანდართული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა **„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“ (დანართი 1).**
2. პროგრამაზე სწავლის საფასური და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საფასური (პროგრამის ხარჯთაღრიცხვა 10 მსმენელის ჯგუფზე) განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მიერ.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორს, ბსუ-ს ასოცირებულ პროფესორ ქეთევან ბერიძეს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი მ. ხალვაში

,,ბსუ-ს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის“ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 02 ივნისის N 01-02/103 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა/ანოტაცია

პროგრამის დასახელება	სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბსუ-ს N2 და N3 კორპუსების სივრცეში (ქალაქი ბათუმი. ნინოშვილის/რუსთაველის N35/32)
პროგრამის მიზანი	კურსის მიზანია მსმენელს მისცეს ცოდნა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის შესახებ. პროგრამით გათვალისწინებულია განვითარების თეორიების, სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელი თავისებურებების შესწავლა. მსმენელი შეძლებს სკოლამდელი ასაკის ბავშვის ემოციების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ შეფასებას და მათი სკოლისათვის მზაობის შესწავლას, ასევე შეძლებს ფსიქოლოგიური ხასიათის ინფორმაციის შეგროვებას, თავმოყრას, გაანალიზებას, სისტემაში მოყვანასა და გამოყენებას.
სამიზნე ჯგუფი, პროგრამაზე რეგისტრაციის/მსმენელის სტატუსის მოპოვების წინაპირობა	პროგრამაზე დაიშვებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები (არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები), საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სარეაბილიტაციო ცენტრებში დასაქმებული პირები, მუშაობის სტაჟის მიუხედავად; ფსიქოლოგიის მეცნიერებით დაინტერესებული პირები, ასევე, საბავშვო ბაღში დასაქმებული ფსიქოლოგები ან საბავშვო ბაღში დასაქმების მსურველი პირები. .პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვების/ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით ბსუ-ს და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს შორის ფორმდება ხელშეკრულება.
პროგრამაზე სწავლის საფასური	პროგრამაზე სწავლის საფასური და პროგრამის ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების“ შესაბამისად.
პროგრამაზე (ჯგუფში) მსმენელების მინიმალური/მაქსიმალური რაოდენობა	მსმენელთა მინიმალური ოდენობა - 10 ; მაქსიმალური ოდენობა - 25.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა (განაწილება დროში)	**სულ 60 კრედიტი** (12 მოდული, თითო - 5 კრედიტი); **საათების რაოდენობა - 300 საათი, მათ შორის:** - **1 მოდულზე - საკონტაქტო 15 საათი (სულ** საკონტაქტო 180 საათი); **36 სატრენინგო დღე** ტრენერთან/მოწვეულ მასწავლებელთან დღეში 5 საკონტაქტო საათი); - **დამოუკიდებელი მუშაობისათვის** - 96 სთ; გამოცდებისათვის - 24 საათი. - **სამუშაო დღეები:** ძირითადად შაბათი და კვირა, ასევე კვირის სხვა დღეები, მსმენელთა მოთხოვნის შესაბამისად.
პროგრამის ხელმძღვანელი და საკონტაქტო პირი	***ქეთევან ბერიძე*** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ასოცირებული პროფესორი,** ბსუ-ს **ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორი** და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის **ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორი**
საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი	k.beridze@bsu.edu.ge; ketuna100@gmail.com 577717150
პროგრამის მოდულების დასახელება, კრედიტების რაოდენობა და განმახორციელებელი პერსონალი	1. განვითარების ფსიქოლოგია - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **რუსუდან კეჭაყმაძე)** 2. სკოლამდელი ასაკის ბავშვის პათოფსიქოლოგია - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი **-ეთერ ვარშანიძე);** 3. ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **დათო ქათამაძე; ნინო რუსიეშვილი);** 4. ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **რუსიკო ბერიძე);** 5. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოდიაგნოსტიკა და ფსიქოთერაპია - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **ქეთი დევაძე);** 6. არტთერაპია - 5 კრედიტი; (ტრენერი/მასწავლებელი - **ქეთევან ბერიძე; ნანული ტუხაშვილი);** 7. სკოლამდელ ასაკში ძალადობის იდენტიფიკაცია და პრევენცია - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **ქეთევან ბერიძე);** 8. ლოგოპედია - 5 კრედიტი; (ტრენერი/მასწავლებელი - **რუსიკო ბერიძე);** 9. გამოყენებითი ქცევის ანალიზი - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი -ანა ჩაჩუა). 10. ქცევითი თერაპიის დამატებითი ალტერნატიული მეთოდები აუტისტური სპექტრის

	ბავშვებთან - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი -**ანა ჩაჩუა**). 11. სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ადაპტური და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარების ფორმირება - 5 კრედიტი; (ტრენერი/მასწავლებელი -**ანა ჩაჩუა**). 12. პრაქტიკული კურსი სკოლამდელი ასაკის ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის საკითხებზე - 5 კრედიტი (ტრენერი/მასწავლებელი - **დათო ქათამაძე**) სულ 12 მოდული, 1 მოდული - 5 კრედიტის მოცულობით.
პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი: ტრენერები/მოწვეული მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი	**პროგრამის მოდულების განმახორციელებელი პერსონალი:** 1. **ქეთევან ბერიძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 2. **რუსუდან კეჭაყმაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. **რუსუდან ბერიძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 4. **შორენა მესხიძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი; 5. **დავით ქათამაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი; 6. **ქეთევან დევაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი; 7. **ეთერ ვარშანიძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი; 8. **ნინო რუსიეშვილი** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი; 9. **ანა ჩაჩუა** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი; 10. **ნანული ტუხაშვილი** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი; **პროგრამის განხორციელების/ადმინისტრირებისათვის საჭირო დამხმარე პერსონალი:** პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი (სასწავლო პროცესის მენეჯმენტის განმახორციელებელი - **ქეთევან ბერიძე**; **სასწავლო პროცესის მენეჯმენტის განხორციელებისათვის სხვა დამხმარე პერსონალი:** 1. **მადონა გორგოშაძე - ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დარგობრივი სპეციალისტი** (ხელშეკრულებების მომზადება; მსმენელთა სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში პროგრამის ხელმძღვანელის ასისტირება, სერტიფიკატების მომზადება-გაცემის პროცესში მონაწილეობა და

	პროგრამის ხელმძღვანელის სხვა დავალების შესრულება); 2. **ჟანა ჯიბლაძე - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი** (პროგრამის განხორციელების სამართლებრივი მხარდაჭერა, სამართლებრივი აქტების მომზადება-შეთანხმება და კონსულტაციები).
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ	პროგრამის მსმენელთათვის ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის განხორციელების ადგილზე (კორპუსებში) კეთილმოწყობილი აუდიტორიები, დამხმარე მასალები (ჰენდაუთები), ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები.
პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი:	პროგრამის განხორციელების პერიოდში უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, პროგრამის ხელმძღვანელისა და ტრენერების (მწვრთნელების) მიერ ხდება ტრენინგების შეფასება, მონიტორინგი, მსმენელთა მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის შინაარსობრივი დახვეწისათვის.
პროგრამის დასრულების შედეგად სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:	პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წინაპირობაა **სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის მოკლევადიანი** სრული კურსის (60 კრედიტის) გავლა, თითოეულ მოდულში კრედიტების შესაბამის ქულათა რაოდენობის დაგროვება (კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51 ქულის დაგროვება). სერტიფიკატის ფორმა მტკიცდესბ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

დანართი 1.

N	მოდულის სახელწოდება	კრედიტი	ტრენერის საკონტაქტო საათების რაოდენობა	საკონსულტაციო საათების რაოდენობა	გამოცდისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა	შენიშვნა
1	განვითარების ფსიქოლოგია	5	15	8	2	
2	სკოლამდელი ასაკის ბავშვის პათოფსიქოლოგია	5	15	8	5	
3	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	5	15	8	2	
4	ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში	5	15	8	2	
5	სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოდიაგნოსტიკა და ფსიქოთერაპია	5	15	8	2	
6	არტთერაპია	5	15	8	2	

7	სკოლამდელ ასაკში ძალადობის იდენტიფიკაცია და პრევენცია	5	15	8	2	
8	ლოგოპედია	5	15	8	2	
9	გამოყენებითი ქცევის ანალიზი	5	15	8	2	
10	სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ადაპტური და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარების ფორმირება	5	15	8	2	
11	ქცევითი თერაპიის დამატებითი ალტერნატიული მეთოდები აუტისტური სპექტრის ბავშვებთან	5	15	8	2	
12	პრაქტიკული კურსი სკოლამდელი ასაკის ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის საკითხებზე	5	15	8	2	